# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №15

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 17 მაისი 2013წ

ერთის მხრივ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს საჯარო სკოლა ~~ვაჟა კუკიას~~ სახით. (შემდგომში შემსყიდველი)

მეორეს მხრივ შპს „ჯორჯიან კომპანი" მისამართი ჩოხატაური. კოსტავას ქ.6 ტელ. 551 270 247
(მიმწოდებლის დასახელება, იურიდიული მისამართი)

მიმწოდებელს შორის მიღწეული იქნა ურთიერთ შეთანხმება შემდეგზე: („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი 23-ე მუხლით) ერთ პირთან მოლაპარაკებით საქონლის შესყიდვაზე.

მომსახურების მოკლე აღწერა

**სოფ. საჯავახოს საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის მომზადება.**

გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვროს შესადგენი ხარჯთაღრიცხვის ღირებულების 3%-ის ოდენობით, ანუ **140.61** (4687X3%=140.61ლარი) ლარით (ასორმოცი ლარი – 61 თეთრი) დღგ-ის ჩათვლით

ხელშეკრულების თანხა ციფრებით და სიტყვიერად
**(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი")**

## I. შემსყიდველი ვალდებულია:

1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება (ეტაპობრივად ან მთლიანად გადახდის გრაფიკით) უნაღდო ან ნაღდი ანგარიშწორებით.
2. წარუდგინოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების გეგმა გრაფიკი.
3. შეწყვიტოს ხელშეკრულება არასათანადო შესრულების შემთხვევაში.
4. მიმწოდებელთან შეთანხმებით მოახდინოს საქონლის ფასების გადასინჯვა საჭიროების შემთხვევაში (ინფლაციის მაღალი დონე; სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილება; საგადასახადო რეჟიმის შეცვლა) განახორციელოს მონიტორინგი ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობაზე.
5. აწარმოოს სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

## II. მომწოდებელი ვალდებულია:

1. გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი ეტაპების და გრაფიკის მიხედვით.
2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე.
3. მიმწოდებელი ვალდებულია ჩააბაროს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის დოკუმენტაცია მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დამოწმებით.
4. შეასრულოს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულება.

## III. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება 1%-ის ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალების ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით (შემსყიდველი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში)

## IV. ფორს-მაჟორული სიტუაცია

1. მხარეები პასუხს არ აგებენ დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე თუ ეს არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

2. „ფორს-მაჟორული“ ნიშნავს მხარეებისთვის გაუთვალისწინებელ გარემოების (სტიქია, ომი, ეპიდემია, კარანტინი), რომელიც მხარეთა კონტროლს არ ექვემდებარება.

## V. სადაო საკითხების გადაწყვეტა

სადაო საკითხების წამოჭრის შემთხვევაში ორივე მხარეს დავის გადაჭრის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

ხელშეკრულება ძალაშია 2013წ 17 მაისიდან 2013 წლის 31 მაისამდე

ხელის მოწერა, ბეჭედი ---------- / ვაჟა კუცია /
(შემსყიდველის სახელი. გვარი)
საიდენტიფიკაციო ნომერი 238762763

ანგარიშის ნომერი **GE64LB0121117205566000**
ლიბერთი ბანკის ჩოხატაურის ფილიალი **LBRTGE22**

ხელის მოწერა, ბეჭედი ---------- /ვ. კაკურია /
(მიმწოდებლის სახელი. გვარი)

საიდენტიფიკაციო ნომერი – 441993032

ანგარიშის ნომერი – GE88BG0000000941446500
საქართველოს ბანკი BAGAGE22